# დიდება ჩვენი ხალხის შრომასა და გონებას!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 31 (13425) | კვირა, 6 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.




# ციფრები გვახარებენ და მოგვიწოდებენ

ბოლო ერთი მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა ქვეყანამ გასულ 1965 წელს — შვიდწლედის ფინიშთან მივიდა სახელოვანი გამარჯვებებით. ამის შესახებ მოთხრობილია ციფრებისა და ფაქტების ენით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმის შესრულების შესახებ, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა.

პრესაში გამოქვეყნდა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

კითხულობ ამ ცნობებს, ეცნობი ციფრებს და სიამაყის გრძნობა გიპყრობს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების, კულტურისა და კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდის გამო, რომელიც მოპოვებულია საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით.

ამ ცნობების გამოქვეყნების დღეებში ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი უდიდესი მიღწევის მოწმე გავხდით. 3 თებერვალს ავტომატური სადგური „ლუნა-9“ ნარნარად დაჯდა მთვარის ზედაპირზე.

ეს ისტორიული მოვლენა საბჭოთა მეცნიერებისა და კონსტრუქტორების ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა. ეს სახელოვანი გამარჯვება, შეიძლება ითქვას, უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ზრდისა და წინსვლის მაჩვენებელ ციფრებთან.

გადავავლოთ თვალი გასული წლის საწარმოო მიღწევებს. შარშან ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის გამოშვება გადიდდა 8,6 პროცენტით. წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანესს ნაკეთობათა წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მთლიანად სსრ კავშირში. ვნიდწლედის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 80 პროცენტით, როგორც საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული, არამედ 84 პროცენტით. შვიდწლედის დავალებათა გადამეტებით საბჭოთა კავშირის ინდუსტრიამ გამოუშვა 46 მილიარდი მანეთის პროდუქცია.

შარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა საფუძველზე ხორცელდებოდა დიდი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განტკიცებისათვის. ამის შედეგია, რომ, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი პურის პროდუქტებზე მთლიანად უზრუნველყოფილია. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1965 წელს რამდენადმე მეტი იყო წარმოების ყველაზე მაღალ დონეზე, რომელიც მიღწეული იყო წინა წელს. მნიშვნელოვნად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

წარმატებები მოიპოვეს რკინიგზის, წყლის, საავტომობილო, საჰაერო და სხვა ტრანსპორტის მუშაკებმა. მწყობრში ჩადგა ასობით მსხვილი საწარმო.

მკვეთრად ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურის დონე. დამთავრდა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა მუშაკებისათვის ხელფასის მომატება. განუხრელად კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, შემოღებულ იქნა კოლმეურნეთა სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფა. საერთოდ მშრომელთა რეალური შემოსავალი შვიდი პროცენტით გაიზარდა.

განუხრელად ვითარდება და წინ მიიწევს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკა, კულტურა. უფრო მდიდარი, ლამაზნაარსიანი და მიმზიდველი ხდება ჩვენი ადამიანების ყოფაცხოვრება.

მრავალი სასახელო მოვლენით გაიხარეს ამ უკანასკნელ დღეებში საქართველოს მშრომელებმა. ჯერ კიდევ არ დაცხრალა ჩვენი ხალხის ის დიდი აღფრთოვანება, რომელიც გამოიწვია საქართველოს დაჯილდოებამ მეორე ლენინის ორდენით, რომ კვლავ ახალმა სიხარულმა მოიცვა ჩვენი მშრომელების გული — ბაქოელ ნავთობმრეწველთა ბრიგადის ბრიგადირ ალიოფარ ალიევის ბაკურ-ალიევის ბრიგადის ბრიგადირ ალ. ალ. ალ.

# ჯერარნახული საოცრება: უჩვენებს, ლაპარაკობს მთვარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთვარის გზა ხსნილია

ბაძრა თეთრი ლაქები დედამიწის რუკებზე. უკანასკნელი მათგანი — უზარმაზარი ანტარქტიკის მატერიკი გიგანტურ საერთაშორისო სამეცნიერო ლაბორატორიად გადაიქცა. დგება ახალ, საპლანეტათშორისო მოგზაურობათა ხანა. კოსმოსური ოკეანის იქით, რომელიც გვეყოფს ჩვენი უახლოესი კოსმოსური მეზობლის— მთვარისაგან, უცნობი „დედამიწებია", რომლებიც კაცობრობამ უნდა შეისწავლოს მომავალში.

ძნელია გადაეჭრებინთ შევაფასოთ ასეთი მოგზაურობის სირთულე. იგი მრავალგზეს გულმოდგინე, ყოველმხრივ მომზადებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. და უწინარეს ყოვლისა, ექსპედიციის მომავალმა მონაწილეებმა რაც შეიძლება მეტი რამ უნდა იცოდნენ მთვარის ბუნების შესახებ. რას გვეუბნება ამის თაობაზე თანამედროვე ასტრონომია?

დიდი ხნის განმავლობაში შესახებ ასეთ ლ ხელმისაწვდომი იყო მთვარის მხოლოდ ერთი მხარე. დედამიწის ტელესკოპების საშუალებით ამომავჩინენ მთვარის ზედაპირის რელიეფის ტიპიური ფორმები — ვრცელი მუქი ღრმულები — „ზღვები", ნათელი მთაგორიანი რაიონები — „მატერიკები" და მრავალი თასისებრი წარმონაქმნი — კრატერები. დავადგინეთ, რომ მთვარეზე არ არის წყალი თავისუფალი სახით და მეტად უმნიშვნელოა, პრაქტიკულად არ არის, ატმოსფერო.

საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურების „ლუნა-3" (1959 წელი) და „ზონდ-3"-ის (1965 წელი) გაფრენების მეოხებით ამჟამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მთელი მთვარის აგებულების შესახებ.

„ზონდი-3" კოსმოსური სადგურიდან მიღებულმა ფოტოსურათებმა დაგვარწმუნა, რომ მთვარის მეორე მხარეზე არის წინათ ჩვენთვის უცნობი ზღვისებრი ღრმულები — ტალასოიდები, რომლებიც ზომითა და ფორმით ჰგავს ხილული ნახევარსფეროს ზოგიერთ ზღვას. ტალასოიდებს არა აქვთ ფსკერის მუქი საფარი. რა ეფექტსაც უნდა იწვევდეს დაჯახება — ლავის ამოფრქვევას თუ ზედაპირის შემოლღობას, ამ შემთხვევაში ვერ ვხედავთ ვერც ერთის, ვერც მეორის კვალს. მთვარის უკანა მხარის მეორე ფენომენალური თავისებურება, რომელიც აგრეთვე „ზონდ-3"-ის ფოტოსურათების მიხედვით აღმოვაჩინეთ, კრატერების განფენილი ჯაჭვებია. მათაც, როგორც ჩანს, აქვთ შინაგანი წარმოშობის მიზეზები. ჯაჭვებს ქმნიან საშუალო ზომის — 20-30 კილომეტრი დიამეტრის კრატერები, რომელთა ცალკეული განშტოებათა სიგრძე რამდენიმე ასეული კილომეტრია. ყურადღებას იპყრობს ამ ჯაჭვების მიმართულება. შეიძლება მივაკვლიოთ ცენტრსაც, საიდანაც ჯაჭვები იწყება. რამ გამოიწვია ასეთ წარმონაქმნთა გაჩენა? ცნობილია, რომ სხეული, რომელიც კოსმოსური სიჩქარით ეცემა მთვარეზე, მაშინვე ორთქლდება იმის შედეგად, რომ კინეტიკური ენერგია ერთბაშად გადაიქცევა აფეთქების ენერგიად, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ჩამოვარდნილი სხეული ვერ „გაგორდება" ზედაპირზე, და ვერ დატოვებს რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის კვალს, და ისიც რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე. მეორე მხრივ, ჯაჭვების სიწრფივის გამო ძნელია ვივარაუდოთ, რომ კრატერები წარმოიშვა მეტეორთა გუნდების ჩამოვარდნის ან მთვარეზე დაცემულ უზარმაზარი კოსმოსური სხეულის დაჯახებით გამოწვეული მეორეული ამოფრქვევის შედეგად.

შემდგომ დაწვრილებითს შესწავლას, შესაძლოა, მოპყვეს მეცნიერებისათვის დიდმნიშვნელოვანი ახალი დასკვნები, ჯერჯერობით კი უნდა ითქვას, რომ შინაგანი პროცესები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთვარის რელიეფის წარმოქმნაში. კერძოდ, ამას ადასტურებს მთვარის ზედაპირის პატარა მონაკვეთების ფოტოსურათებიც, რომლებიც ახლო მანძილიდან გადაიღეს ამერიკულმა „რეინჯერის" აპარატებმა.

რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა ასტრონომები ნ. ა. კოზირევი და ვ. ი. ეზერსკი აკვირდებოდნენ გაზების ამოსვლას ალფონსის კრატერიდან. ასეთი მოვლენა გვიჩვენებს, რომ მთვარე არ არის სავსებით „მკვდარი". სხეული, რომ რადაც შინაგანი მოქმედება დღესაც მიმდინარეობს. „რეინჯერმა" გადაიღო ალფონსის კრატერის ფსკერის დიდი მასშტაბის ფოტოსურათები. კრატერის რელიეფის ბევრი ფორმა მოწმობს, რომ იგი შინაგანი მიზეზებით უნდა იყოს წარმოშობილი. მაგალითად, გეოლოგ სპეციალისტთა აზრით, „დაკლაკნილ ნაბრალებზე განლაგებული კრატერებისა და იმ ღარების წარმოშობის მიზეზი, რომლებიც შემდეგ ცალკეულ კრატერებად იშლებიან, რაღაც სახეობის ვულკანიზმი უნდა იყოს. ზოგიერთი ასეთ კრატერს გარშემო მუქი შარავანდედი აქვს. ამოფრქვევის პროდუქტებმა ხომ არ შექმნეს ასეთი მუქი არეები კრატერთა ირგვლივ?

აღმოჩნდა აგრეთვე ფორმები, რომლებიც ძალიან ჰგავს კარსტულ ძაბრებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ წარმონაქმნთა ფერდობები საკმაოდ დამრეცია. ასე რომ მათი წარმოქმნის უველაზე შესაძლო პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ არა იმ ფუვიერი მასალის „გამოდინება", რომელიც შინაგან სიცარიელეს ავსებს, არამედ ზედაპირული ფენის ერთგვარი, „ჩაზნექა". რამ გამოიწვია შინაგან სიცარიელეთა წარმოშობა?

თუ რამდენადმე მაინც მართებულია მთვარის ზედაპირის აგებულების ზემოთ მოყვანილი თავისებურებათა განმარტება და თუ შინაგანი პროცესები გავლენას ახდენდა მთვარის რელიეფის ფორმირებაზე, თვით ზედაპირული ფენა ამოფრქვევის ამა თუ იმ პროდუქტით უნდა იყოს წარმოქმნილი. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ ზოგიერთი რაიონის მიმართ, რომლებიც უფრო მეტად განიცდიდნენ ასეთ გავლენას. მაგალითად მოვიყვანთ მთვარის ზღვების ზედაპირს. ბევრი მათგანი ფსკერის სტრუქტურით ძალიან ჰგავს ლავის მინდვრებს. ზღვის უბნების ფოტოსურათების გადაღებამ სხვადასხვა შუქფილტრის საშუალებით გვიჩვენა, რომ არის სხვადასხვა „ნაკადის" ფერთა მკაფიო საზღვრები. ესე იგი, ზღვები დაფარული არ არის კოსმოსური მტვრით, რომელიც დაჩრდილავდა ფერთა ასეთ განსხვავებას. ზედაპირული ფენის ასეთი სტრუქტურა არ ეწინააღმდეგება არც არაპირდაპირ მონაცემებს მთვარის მიკრორელიეფის შესახებ, რომლებიც მისი ზედაპირის მონაკვეთების არეკვლითა უნარის შესწავლის შედეგად მივიღეთ.

რამდენად მყარია მთვარის ქანები? შეძლებს ადამიანი მთვარის ზედაპირზე სიარულს თუ მაშინვე ჩაეფლობა ფუვიერ გრუნტში?

დღემდე ამ კითხვაზე, ისევე როგორც სხვა კითხვებზე მთვარის ზედაპირული ფენის ფიზიკური დახასიათების შესახებ, ასტრონომია ვერ ძძლევა ამომწურავ პასუხს. ჩვენ ვიცით მთვარის რელიეფის გეომეტრია რამდენადმე ზუსტად, მაგრამ სანამ დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირის დედამიწის ხელსაწყოები არ შეეხება, დამაჯერებლად ვერ ვიმსჯელებთ, რამდენად მყარია მთვარის ქანები.

სხვადასხვა ჰიპოთეზის საფუძველზე ახლა შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ დატვირთვის შესაძლო სიდიდეებზე, რომელსაც შეიძლება გაუძლოს მთვარის გრუნტმა. მაგალითად, მთვარის ცნობილი მკვლევარი დ. კო

## საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

# ვალდებული ცხოვრება

# კომუნისტის თვალით

**კონფერენციაზე** სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა, მოხსენების გამო კამათში შემდეგ სიტყვით ს. თარბა გამოვა.

საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის XXIX საოლქო კონფერენციის დელეგატმა, ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მე-6 შახტის პარტბიუროს მდივანმა ს. თარბამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თავის ხელნაწერს. სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ კრების წესს ვერ ვაარღვევს, მოცემული დრო უნდა იკმაროს...

მეშახტეებმა როცა აირჩიეს სეკრეტარად თარბა კონფერენციის დელეგატად, თან მუშის სიტყვა დაუბარეს. რამდენიმე წუთიც, და აკვა იგი ტრიბუნაზე. დელეგატებს გადასცემს ტყვარჩელელ მეშახტე კომუნისტების მხურვალე სალამს, მოუყვება, თუ რაგორ დარაზმა შახტის პარტბიუროს კომუნისტები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. შარშან შახტის კოლექტივმა კარგად გაართვა თავი საწარმოო დავალებას. წელს იანვარშიც ქვანახშირის მოპოვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, რითაც სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 565 ტონა სპობინი მისცა.

როგორ მიაღწიეს ამას?

ს. თარბა უპასუხებს, რომ პიორო დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს კომუნისტების ავანგარდულ როლს, წარმოებაში მათს სწორად დასაქმებასა და განაწილებას. ამიტომ არის, რომ მათი უმრავლესობა მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობს. კომუნისტები ჩაბმული არიან პოლიტგანთლების ქსელში, ყოველდღიური საქმის კურსში არიან, სწავლობენ, ეძენენ ახალს. წლითიწლობით ზრდიან ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას. მარტო შარშან სკკპ წევრობის ბანდიდატად ათი მუშა მიიღეს. ეს ელის უწყობს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას შახტის კოლექტივის დანარჩენ წევრებს შორის. ამას წინათ მე-3 უბნის მეშახტეები ჩამორჩებოდნენ, გეგმას ვერ ასრულებდნენ. ეს კი ჩირქს სცხებდა მთელი ალაქის ღირსებას. კომუნისტებმა შეასწავლეს ჩამორჩენის მიზეზი. უბანი ვლევ მოწინავეთა რიგებში ჩადგა...

ეს და კიდევ ბევრი სხვაც მოახსენა დელეგატებს ს. თარბამ. და განაგრძო მან. ტრიბუნაზე ერთმანეთს ვცვლიდნენ დელეგატები, რომლებიც ამბობენ, კომუნისტის პრინციპული ობიექტივი კომფერენციას ახსენებდნენ ავიანთ წარმატებას თუ წარუმატებლობას, გულწრფელად აღიარებდნენ ნაკლოვან ნაკლს, გამოთქვამდნენ მოსაზრებას მათი აღმოფხვრის მტკიცე გეგმებს.

დელეგატებს საქმიან გამოსვლას ალი შეუწყო საბჭოგარეშო მოხსენებამ, რომელიც გააკეთა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მდივანმა ვ. კობაძეშვილმა. ორივე მოხსენებაში მთავარი ყურადღება ექცეოდა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორულ მუშაობას, ორგანიზატორულ ფუნქციებს ასრულებდნენ. საანგარიშო პერიოდი ხასიათდება აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის შემდგომი ზრდით. უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიაში მიიღეს 1707 ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და მომდევნო პლენუმების დადგენილებებმა ალი შეუწყო პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას, ეუბრობის მეთოდებისა და სტილის ბოლოდ ოფას. კომუნისტები იყენებენ ნენ მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას. თვალსაჩინებლნენ რა ადგილობრივ პირობებს, მთავარ ყურადღებას აქცევდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევას. პარტიკომი ოლქო კომიტეტს ბიუროო ხშირად ანგარიშებს, პირველადი პარტორგანიზაციების ანგარიშებს, თავის სხდომებზე ისმენს პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობის აქტუალურ საკითხებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიურ მუშაობას, ახალგაზრდა კომუნისტებში მტკიცე რწმენის, მაღალი მორალური თვისებების განვითარებას. კადრების სწორი შერჩევა, მათი იდეური გამოწრთობა — აი მათი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა კეთილსაყოფილი გავლენა მოახდინეს სამეურნეო საქმიანობაში წარმატებათა მოპოვებაზე.

შვიდწლედის მანძილზე საგრძნობლად განვითარდა აფხაზეთის ახსრ მრეწველობა. ამ ხნის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 23 მილიონი მანეთის ღირებულების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის პროდუქცია. მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, აგრეთვე რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვით მიღებულია რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომია.

შარშან, წინა წელთან შედარებით, საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 3,3 პროცენტით, თუმცა ნედლეულით ჩაის ფაბრიკების მოუმარაგებლობის გამო გეგმა მთლიანად აფხაზეთში შარშან შესრულდა მხოლოდ 98,6 პროცენტით.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა მოწინავე საწარმოთა შორის დაასახელეს ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ №№ 1, 5 და 6 შახტების, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის, ტყვე-ფეხსაცმლის კომბინატისა და სხვათა კოლექტივები.

ამასთანავე კამათის მონაწილეებმა, პარტიის სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა შ. შარტავამ და ლ. ქმარანძიამ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებში ფართოდ არ ინერგება მოწინავე ტექნიკა. კვლავ სჭარბობს ხელით შრომის ხვედრითი წონა, შეუწყარებლად მაღალია მოპოვებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, სათანადოდ არ წარმოებს ბრძოლა შიდაეკონომიკურ ანგარიშებზე. დელეგატებმა კონფერენციას აღუთქვეს, რომ ამ ორი ქალაქის კომუნისტები კვლავ დარაზმავენ ძალებს აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

კონფერენციაზე ამასთანავე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პირველადი ორგანიზაცია სუსტად მუშაობს, ინიციატივას ვერ იჩენს, სათანადო გავლენას ვერ ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე, ფირგდება ცალკეული კომუნისტების მიერ სკკპ წესდების დარღვევის შემთხვევებს.

გაკრიტიკებულ იქნა სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის კომფეოურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. კოპალიანი), რომელიც არ ზრუნავს კომუნისტების ავანგარდული როლისათვის. გამოვლინდა ფაქტები, რომ ახალგაზრდა კომუნისტებს პარტიული დავალება არა აქვთ, ისინი პასიურობენ, ზოგიერთ შემთხვევაში პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირსაც კი კარგავენ. კონფერენციაზე კომუნისტთა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ შემდგომში არ დაუშვან პარტიული შინაგანაწესის დარღვევები, პარტიის ყოველ წევრთან იქონინონ მტკიცე საქმიანი კონტაქტი.

კონფერენციაზე მკაცრად ილაპარაკეს აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე.

სასახელოდ შრომობენ ენერგეტიკოსები. მდინარე ენგურის ნაპირებზე სულ უფრო ფართოდება ამიერკავკასიის ენერგეტიკის ფლაგმანის მრავალკასკადიანი ენგურჰესის მშენებლობის სამუშაოთა ფრონტი.

საანგარიშო პერიოდში სერიოზული სამუშაოები შესრულდა კაპიტალური მშენებლობის დარგშიც. მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოები და საამქროები. სოხუმში ამუშავდა საკონსერვო ქარხანა. გაიხსნა ახალი საავადმყოფო. კურორტებზე მოსახლეობის დასვენებისა და გაჯანსაღების საქმეს ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის კერების „ვოლგის“, „ალაშარის“, „აგუძერის“, „ლესელიძის“ და სხვ. ახალი კორპუსები.

მაგრამ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ვერ ასრულებს № 6 საერთო სამშენებლო ტრესტი (მმართველი ე. ამიჩბა და მთავარი ინჟინერი ე. ბადალოვი), კვლავ ჩამორჩება „ბიჭვინთმშენი“ (მმართველი ა. ბუღია).

მიუხედავად არასელსაყრელი ამინდისა, შარშან მეჩაიეებმა მიინც სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ახლა მეჩაიეობა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად გადაიქცა. ამიტომ დელეგატებმა გააკრიტიკეს ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ამ კულტურის პატრონობისა და ახალი პლანტაციების გაშენებისათვის ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენენ. ეს ითქვა გალისა და ოჩამჩირის რაიონების ხელმძღვანელების მისამართით.

აღნიშნულ საკითხზე და სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის საქმეში ჩამორჩენაზე თვითკრიტიკულად ილაპარაკეს პარტიის გაგრის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ᲔᲗᲝᲜᲐᲫᲔ და პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა Ი. ᲐᲛᲘᲩᲑᲐ. აღინიშნა, თუ ზოგიერთ შემთხვევაში რა არასასურველი შედეგი მოაქვს „ზემოდან“ დაგეგმვის პრაქტიკას.

აფხაზეთში ჩაის მექანიზებული კრეფის შემდგომი გაფართოების დიდი პერსპექტივებია. ახლა შემოტანილია 142 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. ოჩამჩირის რაიონის კინდღის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ე. ლებედევმა ერთ სეზონში მანქანით მოკრიფა 28 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მაშინ როცა აფხაზეთში ჩაის კრეფაზე მანქანის საშუალო გამომუშავება 2,7 ტონას უდრის. როგორც მომხსენებელმა Შ. ᲙᲝᲑᲐᲫᲔ, კამათში მონაწილე აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა Ა. ᲚᲔᲜᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐᲛ აღნიშნეს, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაკები სათანადოდ არ აფასებენ ამ პროგრესულ მოვლენას, რის შედეგადაც არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მანქანებს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მეჩაიეობაში, როგორც აღინიშნა კონფერენციაზე, არის ჩაის პლანტაციების ნელოვნური რწყვის დანერგვა. ამ მხრივ დაკვირვებამ სასურველი შედეგი გვიჩვენა. ამიტომ ხელოვნურ რწყვას ფართო გასაქანი უნდა მიეცეს.

— წელს აფხაზეთის სახელოვანმა მეჩაიეებმა, — განაცხადა კონფერენციის დელეგატმა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოდადის სუფოროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ Მ. ᲐᲥᲚᲔᲘᲑᲐᲛ, — იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 33,5 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს ათასი ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, ხოლო 7.700 ტონით — შარშან მიღწეულ შედეგს. პირადად მე შარშან 7,5 ტონა ჩაის ნედლეული მოვკრიფე. მინდა აღვუთქვა კონფერენციას, რომ მომდინარე ხუთწლედის პირველ წელს 8 ტონას მოვკრიფ.

ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრმა Შ. ᲙᲝᲑᲐᲫᲔ, სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა Შ. ᲫᲘᲫᲐᲠᲘᲐᲛ, აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ Ი. ᲗᲐᲠᲑᲐᲛ და სხვ.

კონფერენციის სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი Ე. Გ. ᲡᲢᲔᲠᲜᲘᲣᲚᲘ.

კონფერენციის დადგენილება ავალებს საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შემდგომ აამაღლონ ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში, დარაზმონ რესპუბლიკის მშრომელები იმისათვის, რომ უფრო მძლავრად გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობის შესახვედრად.

Მ. ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔ,
Ი. ᲒᲝᲑᲝᲯᲘᲐ.

# ᲮᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲮᲡᲝᲢᲑᲔ

## ᲐᲜᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲒᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ



**ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ** მოფუსფუსე ხმაურიან ცენტრს ნვედანოვის მყუდრო ქუჩა ჰკვეთს. ამ ქუჩის ერთ-ერთ სახლში 1922 წლიდან საქართველოს თვით ისტორია ჩასახლებულა. ცხარე ბრძოლების ხსოვნას ინახავენ ომგადახდილი ხმლებიც და ისტორიული წიგნების მრავალფეროვანი ტომებიც, რომლებთაც სავსეა სტელაჟები. მაგიდაზეა საჩუქრები, მისასალმებელი წერილები და დეპეშები. ბქაურ დიასახლისს ბევრი მეგობარი ჰყავს. ოცდაათი წლის მანძილზე ფართოვდებოდა მათი წრე. დღეს „დიდი მოურავის“ ავტორს ასეულ ათასობით ადამიანი იცნობს ჩვენში და საზღვარგარეთ. დიახ, ჩვენ სტუმრად ვართ ანა ანტონოვსკაიასთან, იმ დღეს, როცა მას 80 წელი შეუსრულდა.

ოთხმოცი წელი ძალიან ბევრია. ანტონოვსკაია მოხუცებულია, ღრმა ნაოჭებს დაუსერავს მისი სახე, ხმა სუსტად ღღერს. მაგრამ მწერალი საწერ მაგიდასთან დამხვდა. წინ ლამაზად ნაზეიწყობებული სტრიქონებით სავსე ფირცლები ედო. ანტონოვსკაია ახალ წიგნს წერს...

პატარა მაგიდას ვუსხედვართ. ყავის ფინჯანებს ორთქლი ასდის.

— ხშირად მეკითხებიან, — გვიამბობს პატივცემული ანა, — რატომ დავიწყე მე, რუსმა, საქართველოს წარსულზე წერა. მაგრამ ჩემთვის ძნელია იმის განსაზღვრა, რომელი უფრო ვარ — რუსი თუ ქართველი. მე ხომ თბილისში დავიბადე, ბავშვობაც და ახალგაზრდობაც საქართველოში გავატარე. ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა ბათუმში, ქუთაისში, მინახავს, როგორ ცხოვრობდნენ გლეხები, მომისმენია ძველი ლეგენდები და გადმოცემები. მათგან პირველად გავიგონე გიორგი საკაძის სახელი — ეს იყო სამოცი წლის წინათ, საფარის მონასტერში, წმიდა გიორგის დღეს მოხუცი გლეხი მომიყვა იმ ადამიანის ამბავს, რომელიც სამეფოსა და ხალხებს აზანზარებდა. ჩემს გონებას დაეუფლა რაინდი, რომელმაც გული და მახვილი სამშობლოს შესწირა, გმირი, რომელმაც თავის საუკუნეს გაუსწრო და ბედის ყველა უკუღმართობა განიცადა. გულმოდგინედ დავეწყე ძებნა ყველაფერს, რასაც კი შეეძლო მოეწოდებინა თუნდაც სულ მცირედ ცნობა საკაძის შესახებ...

ოცდაათი წელიწადი მოახმარა ანტონოვსკაიამ თავისი შემოქმედების პირმშოს — ეპოპეას საქართველოს დიდი მხედართმთავრის შესახებ. ეპოპეის პირველი ტომი დაიწერა 1929 წელს, უკანასკნელი — 1956 წელს.

„Ა. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ შესანიშნავი რომანი ნაოფლია მრავალი წლის შრომისა, რომელიც თავისი ხიზუსტით არ ჩამოუვარდება მეცნიერი ისტორიკოსის შრომას და ამავე დროს სავსეა XVI საუკუნის დამლეგისა და XVII საუკუნის დამდეგის საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველი წარმტაცი სურათებით“, წერდა „პრავდაში“ ა. ფადეევი. ხოლო მიხეილ ჯავახიშვილი ა. ანტონოვსკაიასადმი თავის წერილში აღნიშნავდა: „წამიკითხავს მთელი, ან თითქმის მთელი, ბელეტრისტული ლიტერატურა საქართველოს ცხოვრებიდან, რაც კი უცხოელებს დაუწერიათ, და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ თემის სიძნელეს, თქვენი რომანი შეიძლება ამ ხერიის საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვალოს. ერთხელ კიდევ მოგილოცავთ გამარჯვებას“.

ამბობენ, ჩვენი საუკუნე მოკლე ნაწარმოებთა დროა, სქელტანიან რომანებს ახლა ალარ კითხულობენო. მაგრამ საქმე გვერდების რაოდენობა როდია. ანტონოვსკაიას რომანს ექვსი ტომი უჭირავს. ეფიროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რა წარმატებით სარგებლობდნენ ეპოპეის პირველი წიგნები — „ჯიქის გამოღვიძება“ და „გამგრილებელი წვიმის დრო“, რა პოპულარული გახდა, ანტონოვსკაიას მეოხებით, საკაძის სახელი სამამულო ომის წლებში. მაგრამ გადიოდა წლები, ანტონოვსკაია კი განაგრძობდა თავისი გიგანტური ტილოს წერას. მერე რა ინტერესით კითხულობენ მას რომანს!

„ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გადაწყვიტა მოეწყო ხელმოწერით გამოცემა — ექვსივე ტომი გამოეცა ერთიანი გაუმჯობესებული გაფორმებით. ნავარაუდევი იყო წიგნი გამოეცათ 40 ათასი ცალი ტირაჟით, გამოცხადებულ იქნა ხელმოწერა. და იცით რა მოხდა? თვეებსაკვირში „დიდ მოურავზე“ ხელი მოაწერა 226 ათასმა კაცმა! საჭირო გახდა ხელოხოწერის შეწყვეტა და ბეჭდვის გადატანა თბილისიდან მოსკოვში. ექვსი ტომიდან თითეული ჩვენი დროისთვისაც კი კოლოსალური ტირაჟით — 200 ათას ეგზემპლარად იბეჭდება.

ეს ციფრი უეცარზე მეტვრმეტყველურად მოწმობს საკაძის ეპოპეის პოპულარობასაც ჩვენს ქვეყანაში (გამოცემა რუსულ ენაზე ხორცელდება) და მწერლის ნიჭსაც. თუმცაღა ამის თაობაზე კარგად არის ნათქვამი **კონსტანტინე ფედინის** წერილში, რომელიც გამოგზავნილია იუბილეს წინადღეებში:

„გამოთქვამ ჩემს პატივისცემას თქვენდამი, ეს დღეები მიმანიშნა ისეთი სახელოვანი დღესასწაულის წინადღედ, როგორსაც ხშირად როდი გვარგუნებს ბედი. მან ცნო, რომ თქვენ ასეთი დღესასწაულის ღირსი ხართ, რაც დამოწმებულია თქვენი მკითხველების ხმებით“.

ხოლო აი სიტყვები მოსკოვის მწერალთა მისალმებიდან:

„...ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა აღვნიშნოთ, რომ თქვენი საუცხო რომანი „დიდი მოურავი“ თავის ბრწყინვალე ტრიუმფალურ ლიტერატურულ სიცოცხლეს განაგრძობს და დროთა მსვლელობაში არ კარგავს თავის პოეტურ ხიბლსა და ძალას“....

მწერლის სამუშაო კაბინეტში, მისი საწერი მაგიდის თავზე ორი ხმალი ჰკიდია —ქართული სწორი მახვილი უბრალო ქარქაშში და ზურმუხტითა და ფირუზით მოოქვილი მრუდე თურქული ფატგანი. ისინი კედლებს უპოვნიათ მარტყოფის მინდორზე და ანტონოვსკაიასთვის უზუქებიათ.

— ჩემთვის ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია, ერთფეროულად რელიკვია და სიმბოლო. ერთი მხრივ — დამპყრობთა სამყარო, მეორე მხრივ—მებრძოლი ხალხი. უნდა ვთქვა, რომ ჩემი რომანი ამ ხალხზეა, ეს ხალხი ჩემი წიგნების მთავარი გმირია.

ეუბნლეებიდ დღეებში მიღებულია ინტერესს ეიჩენდეთ იუბილარების შემოქმედებითი გეგმებისადმი. პატივცემული ანა ხალისით მოგვითხრობს თავის მუშაობასა და ჩანფიქრებზე.

— მე „ვუღლატე“ ჩემს თემას. ახალი წიგნი— „ალიარება“ ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აგებული. ახლოს ვიცობდი ს. ესენინს, ვმეგობრობდი ბ. პასტერნაკთან, ე. ბაგრიცკისთან, ტ. ტაბიძესთან, ა. იაშვილთან, თ. კაჩალოვთან და სხვა შესანიშნავ თანამედროვეებთან.

წიგნი უკვე დაწერილია და მას მალე გამოსცემს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“. და კიდევ ერთი წიგნი, რომელზეც ამჟამად ვმუშაობ, აგებულია პირად მოგონებებზე. მომიხდა 1917 წლის ისტორიული ამბების მონაწილე ვყოფილიყავი. მე და ჩემი ქმარი მაშინ პეტერბურგში ვცხოვრობდით. თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დიმიტრი ივანეს-ძე, რომელიც მეფის არმიის პოლკოვნიკი იყო, აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. იგი ჯვშნიანი მაჭანკლების დივიზიონს მეთაურობდა. ეს დივიზიონი შეეგება ვ. ი. ლენინს პარილში ფინეთის გაგზალზე. მე ბედნიერება მხვდა მომესმინა ამ დღეს ილიჩისათვის, ხოლო შემდეგ კიდევ რამდენჯერმე. ვფიქრობ ეს წიგნი საბჭოთა ხელისუფლების 50-ე წლისთავისათვის დავამთავრო.

მაგრამ ყველაზე მეტად მაღელვებს თემა, რომელსაც ზეაყენდი ერეკლე მეორის ცხოვრების ეპოქაზე მუშაობის დროს. ეს კაცი და მისი ეპოქა არაჩვეულებრივად საინტერესოა. უკვე სამი წელია მე და ჩემი ვაჟიშვილი ისტორიულ მასალაზე მოსამზადებელ მუშაობას ვეწევით. დაწერილი გვაქვს ცალკეული ჩანახატები, ესკიზები, ვსახავთ კომპოზიციას და საერთო გეგმას. სამუშაო იმდენადვე საინტერესოა, რამდენადაც რთული.

მწერლის ვაჟიშვილი ბორის კონსტანტინეს-ძე ჩორნი გვიჩვენებს საქალაქოდ ეს, რომლებზეც წარწერაა: „ერეკლე“.

დედა-შვილის შემოქმედებითი თანამეგობრობა ჭეშმარიტად შესანიშნავია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლიტერატურის ისტორიაში ერთადერთი ასეთი შემთხვევაა. ბორისს დაწერილია ყველა ლექსი და კომენტარი „დიდი მოურავისათვის“. იგი ისტორიული მასალის მთავარი შემკრები იყო. წიგნს ერეკლე მეორეზე ანტონოვსკაია თავის ვაჟიშვილთან თანაავტორობით დაწერს.

80 წელი დიდი დროა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთათვისაც წლები ასაკის საზომი როდია. შესანიშნავი მწერალი ქალი ანტონოვსკაიაც მათს რიცხვს ეკუთვნის. იგი კვლავ რამდენიმე საათს მუშაობს დღეში, მისი მსჯელობა კვლავ მახვილი და ღრმაა, ხოლო შენიშვნები— უაღრესად ზუსტი.

რამდენიმე საათი დავყაენი ანტონოვსკაიასთან. და მხოლოდ მოკრძალების გრძნობამ მაიძულა, მოლოს, წამოვსულიყავი, იმდენად არ მინდოდა შემეწყვეტა უაღრესად საინტერესო საუბარი, იმდენად მინდოდა მესმინა ამ ქალისათვის, მეცქირა მის ცოცხალ ანალაზანდულ თვალებში.

Ვ. ᲥᲐᲯᲐᲘᲐ.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

## ᲐᲜᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ

# ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ

### ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ „ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲒᲐ“

ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲘᲬᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲛᲘᲗᲘ ᲘᲥᲘᲗ ᲒᲠᲘᲚᲘ ᲣᲪᲠᲘ ᲑᲘᲜᲓᲣᲜᲓᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲬᲧᲚᲘᲚᲘᲧᲝ. ᲣᲛᲐᲯᲝᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲘᲓᲘ ᲡᲐᲡᲯᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ. ᲡᲐᲓ ᲛᲘᲛᲘᲩᲐᲠᲑᲔᲑᲝᲓᲐ? ᲜᲣᲗᲣ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲣᲠᲐᲯᲝᲠᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ. ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲒᲓᲘᲝᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘ, ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲢᲘᲚᲝᲡ ᲬᲔᲠᲐᲡ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲘᲡᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲐᲛ!

„ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲝᲗᲐ ᲛᲝᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ — ᲔᲥᲕᲡᲘᲕᲔ ᲢᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ. ᲜᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲕᲘ ᲘᲧᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲗᲐ 40 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ. ᲓᲐ ᲘᲪᲘᲗ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ? ᲗᲕᲔᲔᲑᲡᲐᲙᲘᲠᲨᲘ „ᲓᲘᲓ ᲛᲝᲣᲠᲐᲯᲝᲠᲘ“ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲬᲔᲠᲐ 226 ᲐᲗᲐᲡᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ! ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲮᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲔᲥᲕᲡᲘ ᲢᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ — 200 ᲐᲗᲐᲡ ᲔᲒᲖᲔᲛ�პᲚᲐᲠᲐᲓ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ.

ᲔᲡ ᲪᲘᲤᲠᲘ ᲣᲔᲪᲐᲠᲘᲐᲠᲘᲗ ᲛᲬᲔᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲐᲯᲔᲡᲘᲡ ᲔᲞᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ (ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ) ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲜᲘᲭᲡᲐᲪ. ᲗᲣᲛᲪᲐᲓᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲗᲥᲕᲐᲛᲔ **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲤᲔᲓᲘᲜᲘᲡ** ᲬᲘᲠᲘᲚᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ:

„ᲒᲐᲛᲝᲛᲗᲥᲕᲐᲛ ᲩᲔᲛᲘᲡ 

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## სიახლენი

### საკოლმეურნეო კლუბი

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ეკონომიურად ძლიერია სოფელ გურნის კოლმეურნეობა. მისი მშვენება და სიამაყეა ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები. მარტო შარშან გურნელებმა 241 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, თვითეულ საფურაკეზ ძრობაზე საშუალოდ 1.609 კილოგრამი რძე მიიღეს. ამიტომ იყო, რომ წლიურმა ფულადმა შემოსავალმა 237 ათას მანეთს გადააჭარბა. თანხის ერთი ნაწილი სოფლის გამშვენიერებას და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობას მოხმარდა.

ამ დღეებში გურნელებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — სოფელი დაამშვენა კეთილმოწყობილმა ახალმა საკოლმეურნეო კლუბმა. კლუბის მაყურებელთა დარბაზი 400-მდე კაცს იტევს. ორი ოთახი განკუთვნილია საწყრეო მუშაობისათვის.

კლუბის ტერიტორიაზე დაირგო მარადმწვანე ხეები და ბუჩქები.

◆

### უნივერმაღი ზემო მაჩხაანში

**წითელწყაროო.** (საკ. კორ.). კულტურის სახლი, სკოლა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი... უკანასკნელ წლებში კიდევ ბევრი სხვა სიახლე შეემატა სოფელ ზემო მაჩხაანს. ახლახან ზემომაჩხაანელებმა სოფლის ცენტრში ხარაჩოები ჩამოხსნეს უნივერსალური მაღაზიის შესანიშნავ შენობას.

◆

### სკოლა ფერსათში

**მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). სოფელ ფერსათის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. დამთავრდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა რვაწლიანი სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი კაბინეტები და ლაბორატორიები. ახალი სკოლა მთლიანად ერთიანლიან მეცადინეობაზე გადავიდა.

◆

### რკინიგზის ახალი სადგური

**ტყიბული.** (საკ. კორ.). ქალაქი კიდევ ერთი ლამაზი არქიტექტურული ნაგებობით დამშვენდა — ხარაჩოები ჩამოხსნეს რკინიგზის ახალ სადგურს. სადგურის ტერიტორიაზე დარგეს მარადმწვანე დეკორაციული მცენარეები, მოაწყეს გაზონები.

სურათზე: რკინიგზის ახალი სადგურის შენობა.
ფოტო გ. სახელაშვილისა.

# საქართველოს სტუმრები

### მოგვასწარით დავმტკბარიყავით

**ორი** დღეც არ გასულა, რაც საქართველოში ვართ, მაგრამ უკვე მოვასწარით დავმტკბარიყავით თბილისელებთან მეგობრული შეხვედრით, განაცხადა ნეპალის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურმა ჯანარდან სამამ.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები. ისინი გაერთიანებული არიან ნეპალის რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში, რომელიც კულტურის საკითხებს განაგებს. სტუმართა შორის არიან ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი ტარა დევი, ნიჭიერი კომპოზიტორი, მუსიკოსი, მომღერალი და კინომსახიობი, პირველი ნეპალური მხატვრული ფილმის „დედის“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი შივა შანქარი, პოპულარული მუსიკოსი კრიშნა ნარაიანი და სხვები. მათ ხელოვნებას გაეცნო თასაობით ადამიანი უზბეკეთში, თურქმენეთში, აზერბაიჯანში, სადაც საქართველოში ჩამოსვლამდე იყვნენ ნეპალის ხელოვნების მოღვაწეები. დელეგაცია ნეპალის რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ჯანარდან სამას მეთაურობით მიიღეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში. სტუმრებს მიესალმა კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ო. ვ. თაქთაქიშვილი.

სტუმრების თხოვნით ო. ვ. თაქთაქიშვილმა ილაპარაკა საქართველოს მრავალმხრივი კულტურული კოვრების შესახებ.

საუბარს დაესწრო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. დვალიშვილი.

სტუმრებს უჩვენეს თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტური ფილმები.

5 თებერვალს მთელი დღე დელეგაციის წევრებმა მიუძღვნეს თბილისის კულტურული ცხოვრების გაცნობას, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში დაესწრნენ კლასიკური და სახასიათო ცეკვების გაკვეთილებს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. შემდეგ ნეპალელი სტუმრები იყვნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპეტიციაზე. თბილისელებმა დაიფასეს ნეპალელთა ხელოვნება, რომლებიც გამოვიდნენ საქართველოს ტელევიზიით. საღამოს ნეპალის კულტურის მოღვაწეებმა მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ნახეს სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“.

— მინდა აღვნიშნო ქართული კულტურის არაჩვეულებრივი თავაზიანობა, — თქვა სანეტრ მონტეროსა პირველადაა საბჭოთა კავშირში. იგი ცხოველი ინტერესით ეცნობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, რომლისკენაც, როგორც იგი ამბობს, მიპყრობილია თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა ყურადღება. „საკუთარი თვალით ვნახე, თქვა ე. მონტეროსამ, რა დიდ წარმატებებს მიაღწიეთ კომუნისტურ მშენებლობაში“.

კოსტარიკელი სტუმარი აღტაცებულია საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებებით. „საშუალება მომეცა, თქვა მან, გავცნობოდი ქართველი ხალხის მძლე, წარსულსა და სასიხარულო, ბედნიერ აწმყოს“.

ერნან მონტეროსამ აღნიშნა საბჭოთა კავშირის წვლილი მშვიდობის საქმეში და ხაზი გაუსვა ტაშკენტის შეხვედრის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. „სსრ კავშირი, — განაცხადა მან, — საყოველთაო მშვიდობისათვის დიადი მებრძოლია“.

ე. მონტეროსამ შეკრებილთ გაუზიარა თავისი აზრი ჰავანის კონფერენციის შესახებ.

5 თებერვალს კოსტა-რიკის სახალხო-სოციალისტური ალიანსის ვიცე-პრეზიდენტი ერნან მონტეროსა ... მოსკოვში გაფრინდა.

(საქდესი).

# ასე ატარებენ არდადეგებს

უმაღლეს სასწავლებლებში საზამთრო არდადეგებია. ვინც იბეჭითა, მას დასვენებაც კარგი ექნება.

რა სჯობს ახლა ბაკურიანში ყოფნას. თოვლს მონატრებულ თბილისელებს აბა რა გააძლებინებთ შინ. თხილამურებით სრიალი, ცეკობა ეს ხომ სანუკვარი ოცნებაა. სტუდენტი სპორტსმენები კი აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ტრადიციისამებრ საზამთრო არდადეგების დღეებში სხვადასხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ესტუმრებიან ხოლმე ერთმანეთს. ზოგი თბილისში ჩამოვიდა და თავის ხელოვნებას აცნობს თანატოლებს, ბევრი კი გამგზავრა ჩვენი რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და ქართული ხელოვნებით ხიბლავს მაყურებლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივები — სიმფონიური ორკესტრი, ქორეოგრაფიული და საესტრადო ჯგუფები 150 კაცის შემადგენლობით გაემგზავრნენ მოსკოვში. ისინი დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებსა და საწარმოებში მართავენ კონცერტებს. მოსკოვში გაემგზავრნენ აგრეთვე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. ისინი მოსკოველებს უჩვენებენ თავიანთ სპექტაკლს. ეს დიდი მოვლენაა მომავალი ქართველი მსახიობების ცხოვრებაში.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივი კი საგასტროლოდ იმყოფება კახეთში.

არც თბილისში დარჩენილი სტუდენტები არიან მოწყენილები. ისინი მასპინძლობას უწევენ ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულ სტუდენტ ახალგაზრდებს. ესენი არიან მოსკოვის პ. ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის, ვოლგოგრადის სამედიცინო ინსტიტუტის, კიევისა და სხვა ქალაქებში მოსწავლე უცხოელი სტუდენტები — ძირითადად აფრიკის, ლათინური ამერიკის და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. მათთვის ეწყობა საინტერესო ექსკურსიები თბილისსა და მცხეთაში. შეხვედრები თბილისელ ახალგაზრდობასთან. უკვე გაიმართა ასეთი შეხვედრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

## კარგი საქმე

**ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). სოფელ ფარცხნალში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მას ხელმძღვანელობს ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის დირექტორი უ. ვეფხვაძე.

აქ უკვე შეუდგნენ მასალების შეგროვებას სოფლის სახელოვანი ადამიანების ცხოვრებაზე.

### მოგზაურობა ფოტოაპარატით

# ევენკიის მხარეში

**კრასნოიარსკის** მხარეში არის ადგილი, რომელსაც ევენკია ჰქვია და აქ მეირმეები, მონადირეები ბინადრობენ. შორეულ ტაიგაშია განლაგებული მათი სადგომები. ახლა იქ, როგორც ყოველთვის, ძლიერი ყინვებია.

რევოლუციამდე ამ მხარეში არ იყო ხალხები, არ იყვნენ ექიმები, დასახლებულ პუნქტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ველური მომთაბარე ცხოვრება



და მუდმივი დამოკიდებულება მრეწველებზე — ასეთი იყო აქაური ადორიგენთა ხვედრი.

ახლა კი აქ ახალმა ცხოვრებამ დაასადგურა. მისი მთავარი მონაპოვარია ევენკიელთა დამკვიდრება ერთ მუდმივ ადგილზე. ეს იყო ნამდვილი რევოლუცია მოხეტიალეთა ცხოვრებაში. რუკაზე გაჩნდა დასახლებული პუნქტები, ხოლო ტურა ევენკიის ეროვნული ოლქის ცენტრი გახდა. მის ტერიტორიაზე მოეწყო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები.

ევენკია მდიდარია „ფაფუკი ოქროთი“. შვიდწლედის მანძილზე მისმა მაძიებლებმა სამშობლოს მისცეს 7,5 მილიონი მანეთის ბეწვეული.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ირმის სულადობა. დღეს ევენკიაში 64.000 ირემი ჰყავთ. ფართოვდება ევენკიელთა კულტურული ცხოვრების სფეროები. საშუალო განათლების, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლების მიღება აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ოლქში ამჟამად მრავალი ათეული ადგილობრივი სპეციალისტი მუშაობს.

• • •

**სურათებზე:** ზემოდან ქვემოთ — კომკავშირელი თამარ ოიოგირი, იგი მზარეულად მუშაობს ნიდომის საბჭოთა მეურნეობაში; სამხარეო რადიოს ჟურნალისტი და პოეტი ალიტეტ ნემტუშკინი; მეცადინეობა ქირურგიაში ევენკიის სამხარეო სამედიცინო სასწავლებელში.

ფოტო ი. ბარმინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

## შემოხვევა

# დახრჩობას გადაარჩინეს

ეს მოხდა იანვარში. ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მახლობლად, იქ, სადაც თბილისის ზღვიდან არხში წყალი მიედინება და სათავეს იღებს გვირაბში, თავი მოეყართ ბავშვებს. მათ შორის იყო ვარკეთილის რვაწლიანი სკოლის პირველი კლასის მოსწავლე თენგიზ ზანგურაშვილი. თამაშის დროს პატარა თენგიზი არხში ჩავარდა და წყალმა წაიღო. ამხანაგები აყვირდნენ, შველას ითხოვდნენ.

ბავშვების ხმა გაიგონეს შორიახლო მდებარე ბენზინის ჩამოსასხმელ პუნქტთან მყოფმა საბჭოთა მეურნეობის მძღოლებმა მიშა წიკლაურმა, სულიკო დილებაშვილმა და ნოდარ ყრუაშვილმა. ისინი სწრაფად გაიქცნენ არხისაკენ და ერთობლივი მოქმედებით ო. ზანგურაშვილი წყალს გამოსტაცეს. მათ ბავშვის მშობლებისა და ხალხის მადლობა დაიმსახურეს.

ზ. რამიშვილი.

# ავტომატი-მოქანდაკე

ეს სიახლე დაიბადა ბუდაპეშტში. ორმა უნგრელმა გამომგონებელმა მიკლოშ ნოგრადიმ და მისმა ვაჟიშვილმა ზოლტანმა შექმნეს მანქანა სკულპტურული პორტრეტების დასამზადებლად. ავტომატი ორი აგრეგატისაგან შედგება: გადამღები დანადგარი და საჭრელით ასლის გამომყვანი დაზგა.

საინტერესოა ამ აგრეგატების მუშაობის პრინციპი. კაცი ჯდება მბრუნავ სავარძელში, რომელიც 15-20 წამში ოთხ ბრუნვას აკეთებს. სპეციალური კინოკამერა ამ დროში ასწრებს ადამიანის თავის 300-400 სურათის გადაღებას სულ სხვადასხვა კუთხით. ამისათვის ადამიანის თავი ისეა განათებული, რომ ნეგატივზე აღიბეჭდოს თავის კონტურის გამომხატველი ნათელი ვიწრო ზოლი. როგორც, მაგალითად, მზის სხივებით აცილგებული ახალი მთვარე. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კოსმოსში ვხედავთ ნამგალა მთვარის სწორ მოხაზულობას, აქ კი განათებული ხაზღვრის მოხაზულობა დამოკიდებულია განათებული ობიექტის რელიეფის მოხაზულობაზე. და ასე იცვლება რაკურსიდან რაკურსამდე. ამით მთავრდება გადაღება. მყღაგნდება ფოტოფირი. შემდეგ მუშაობაში ერთვება მანქანური საჭრისი, რომლის მუშაობას მართავს ფოტომექანიკური მოწყობილობა, ეს შემდეგნაირად ხდება.

ჩაირთვება პროექტორი. იგი პირველი კინოკადრის განათებული ზოლის გამოსახულებას გადასცემს ფოტოელემენტს, რომელიც ჩართულია გამაძლიერებლის, რელესა და სავარძლის მამოძრავებელი ელექტრომოტორის საერთო სისტემაში. რელეს „ბრძანებით“ ჩაირთვება ელექტრომოტორი. სავარძელი იწყებს უკუმოძრაობას იმიხედ მიხედვით, თუ ფოტოთვალის მხედველობის არეში გამოსახულების რომელი მონაკვეთია მოქცეული — განათებული თუ დაბნელებული. ფოტოელემენტი, რომელიც „დარბის“ განათებული ზოლის მარცხენა და მარჯვენა საზღვრებს შორის, თითქოს შეიგრძნობს კონტურს და ამავე დროს ზევით-ქვევით მოძრაობს. კონტურს ერთგვარად ლეკალოს დანიშნულება აქვს, რომელიც წარმართავს საჭრისის მოძრაობას. ამრიგად სანთლის ან პლასტმასის შაბლონზე ჩნდება პირველი ღარები, შემდეგ იგივე ამბავი მეორდება მეორე კადრის პროექციისას და ა. შ.

ავტომატი-მოქანდაკე ასეთი მუშაობით 2-3 საათში ძერწავს ბიუსტს. მანქანისათვის ძირითადი მასალა სკულპტურის დასამზადებლად პარაფინია. თუმცა პარაფინის ასლისაგან შეიძლება ბრინჯაოს სკულპტურაც ჩამოისხას. საბოლოო ფორმას მაზა სკულპტურას აძლევს მოსაპირკეთებელი მოწყობილობა. იგი ასწორებს საჭრისის მიერ დატოვებულ 0,1-0,3 მმ. სიღრმის ღარებს. შემდეგ მას წაესმება ლაქი და ბიუსტი კარგად და დიდხანს ინახება.

ავტომატს ნებისმიერი საგნების გამოძერწვა შეუძლია და ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება სავიტრინე მანეკენების, ორთოპედიული ფეხსაცმლის ყალიბების და სხვათა დასამზადებლად.

ამჟამად უნგრეთში ითვისებენ ავტომატურ მოქანდაკეს სერიული წარმოებისათვის. მალე ბუდაპეშტში გაიხსნება პირველი ატელიე სკულპტურული პორტრეტების დასამზადებლად.

• • •

**სურათზე:** მიკლოშ ნოგრადი და მისი გამოგონებული ავტომატის მიერ დამზადებული სკულპტურული პორტრეტი.

### ეს საინტერესოა

# ყველაზე ლამაზი იყო მეგზური ბურთი

**ბელუ-ორიზონტი,** 4 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 6:1 დაამარცხა „ატლეტიკო მინეიროს“ კლუბი. თამაში გაიმართა გვიან საღამოს პამპულიას სტადიონზე. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნინოვი, აფონინი, დანილოვი, მალაფეევი, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, მეტრეველი, კოპაევი, მესხი.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქეთა კარს ზედიზედ შეუტიეს. მესამე წუთზე კოპაევმა გახსნა ანგარიში. ორი წუთის შემდეგ ჰუსაინოვს ბურთი მიაწოდა მეტრეველმა, რომელმაც ადარ დაეკოვნა და მეორე ბურთი გაიტანა. 10 წუთის შემდეგ მეტრეველმა სანარიმო დაარტყა, კოპაევმა მიიღო ბურთი და ბადეში მოათავსა.

გულშემატკივართა შეძახილებით გამხნევებული ბრაზილიელები, ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ გაქვითათ ანგარიში. თავდამსხმელი ბუგლე რამდენიმეჯერ საშიშად გაიჭრა კარისაკენ. მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა.

ჩისლენკომ ზედიზედ მოატყუა ორი მოთამაშე, გაიჭრა კარისაკენ და ზუსტი დარტყმით მეოთხე ბურთი გაახვია მასპინძელთა კარის ბადეში. 25-ე წუთზე ანგარიში 5:0 გახდა. მესხი მარცხენა ფრთაზე ელვისებურად გაიჭრა, მოატყუა მცველები და გაიტანა მატჩის ყველაზე ლამაზი ბურთი.

მეორე ტაიმში ნ. მორონოვმა შეცვალა რამდენიმე მოთამაშე. მალაფეევის, ჰუსაინოვისა და მესხის ნაცვლად მოედანზე გამოვიდნენ ვორონინი, ბიბა და ხმელნიცკი.

შესვენების შემდეგ ბრაზილიელები მყისვე ეკვეთნენ საბჭოთა ფეხბურთელების კარს. თამაში უალრესად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. კავაზაშვილმა მოიგერია რამდენიმე ძნელი ბურთი.

ჩისლენკომ კვლავ გაარღვია მეტოქეთა დაცვა, და ანგარიში 6:0-მდე გაზარდა. ბრაზილიელები განაგრძობენ გააფთრებულ კონტრშეტევას, მაგრამ მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს მიზნის მიღწევა. თავდამსხმელმა ტონინომ გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი.

შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სერებრიანიკოვმა შეცვალა კოპაევი.

ბრაზილიის სპორტული მიმომხილველები დადებითად აფასებენ საბჭოთა ნაკრები გუნდის ამ თამაშს. მათი აზრით, საბჭოთა გუნდმა ორი დამარცხების შემდეგ ძალლონე მოიკრიბა და დამტკიცა, რომ საერთაშორისო კლასის გუნდია.

მაგრამ ეს წარმატება გადაჭარბებით არ უნდა შეფასდეს. „ატლეტიკოს“ მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია თავის შტატში.

6 თებერვალს სსრ კავშირის ნაკრები გუნდი შეხვდება „კრუზეიროს“ კლუბს, რომელმაც ხუთშაბათს ანგარიშით 6:2 დაამარცხა რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონი „ფლამენგო“.


## ... ჩვენ ... ბ ... ...


## ევროპის ჩემპიონატი ბრატისლავაში

**პრაღა,** 5 თებერვალი. (საკდესის კ.). ევროპის ჩემპიონატში ფიგურულ ეკიბრაობაში პირველი ადგილი ... სპორტულ ეკიბაობაში მოიპოვეს ინგლისელ წარმომადგენლებმა დიანა ტაულერმა და ბერნარდ ფორდმა. მეორე ადგილი ... იკავეს ინგლისის ფიგურული ეკიბრაობის სკოლის წარმომადგენლებმა ... სუდაკმა და როჯერ კენერსონმა. მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს იტალიელ ... ...კამ და იარმარი გოლანმა (ჩეხოსლოვაკია).

საბჭოთა წყვილი — ლუდმილა პახომოვა და ვიქტორ რიბკინი გამოვიდნენ მეშვიდე ადგილზე.

## ... ...

# ... ... ...

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ... ... ...